ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6429360

ნომერი: AR1962002

თარიღი : 21.04.2023

გაცემის თარიღი : 25.04.2023

გაცნობის თარიღი : 25.04.2023

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ქართულ-ამერიკული მეგობრობის გამზირი, N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ჭავჭავაძე პ/ნ 01001009040
- ქ.თბილისი, გლდანის მე-6 მიკრო/რ 26-ე კორ. ბინა46

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ :
აღნიშნულ (საკადასტრო კოდით 01.72.14.009.283 რეგისტრირებულ) მიწის ნაკვეთზე 14.02.2014 წლის №1126128 გადაწყვეტილებით შეთანხმდა დროებითი (საძირკვლის არ მქონე) შენობა-ნაგებობა. დროებითი შენობა ნაგებობისათვის წერილობითი თანხმობის ვადა განისაზღვრება 1 წლით.
იქიდან გამომდინარე, რომ 14.02.2014 წლის №1126128 გადაწყვეტილებას გასული აქვს 1 წლიანი ვადა და აღნიშნული გადაწყვეტილების შემდგომ აღნიშნული შენობისათვის ვადის გაგრძელება ან ახალი მშენებლობა არ არის შეთანხმებული, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა და გასცეს წერილობითი დასტური, რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახური 21/04/2023 წლის AR1962002 განაცხადით მოთხოვნილ სამუშაოებთან დაკავშირებით ვერ იმსჯელებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.